

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს

დიანა ფარქოსაძეს

მოსარჩელის თორნიკე კუბლაშვილის სარჩელთან დაკავშირებით

საქმე N3/4704-20

### სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ქალბატონო დიანა,

ახალი კორონავირუსის პანდემიასთან გასამკლავებლად საქართველო სხვადასხვა ღონისძიებას ახორციელებს. სახალხო დამცველი აკვირდება მიმდინარე პროცესს იმ მიზნით, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებები პოულობდეს გონივრულ ბალანსს ადამიანის ძირითად უფლებებს შორის.<sup>1</sup> სწორედ ამ პროცესის ფარგლებში მიღებული რეგულაციის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს მოქალაქე თორნიკე კუბლაშვილმა.

საქართველოს სახალხო დამცველს პატივი აქვს აღნიშნულ საქმეზე წარადგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae). სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული სავალდებულო 12 დღიანი კარანტინი<sup>2</sup>, შესაბამისი პირების თავისუფლების უფლებას ზღუდავს. მსგავსი რეგულაცია არ ვრცელდება შემდეგი პირების მიმართ: (1) ევროკავშირის ხუთი ქვეყნის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; საფრანგეთის რესპუბლიკა; ლატვიის რესპუბლიკა; ლიეტუვის რესპუბლიკა; ესტონეთის რესპუბლიკა) მოქალაქეები; (2) შესაბამის ხუთ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირები (მთ შორისაა საქართველოს მოქალაქეები);<sup>3</sup> (3) ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები.<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნული სამი ჯგუფის წარმომადგენელი ექვემდებარება სავალდებულო კარანტინს, თუ მათ ბოლო 14 დღის

<sup>1</sup> ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ მიმართული საკარანტინე ღონისძიებებით გამოწვეული თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგი, ხელმისაწვდომია: <<http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/akhali-koronavirusis-covid-19-tsinaaghmdag-mimartuli-sakarantine-ghonisdziebebit-gamotsveuli-tavisuflebis-shezhudvis-adgilebis-monitoring>>; სახალხო დამცველის ანგარიში დროებითი განთავსების ცენტრში განხორციელებული საგანგებო მონიტორინგის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <<http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-angarishi-droebiti-gantavsebis-tsentrshi-gankhortsielebuli-sagangebo-monitoringis-taobaze>>

<sup>2</sup> საქართველოს მთავრობის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი (2020 წლის 23 მაისი). საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს დადგენილების ამოქმედებამდე აღნიშნული ვადა განისაზღვრებოდა 14 დღით. იხ. საქართველოს მთავრობის #495 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (2020 წლის 12 აგვისტო)

<sup>3</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი #GOV 9 20 00031304 (2020 წლის 31 ივლისი)

<sup>4</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი #GOV 9 20 00031304 (2020 წლის 31 ივლისი)

განმავლობაში უფიქსირდებათ შესაბამისი ხუთი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყნებში მოგზაურობის ისტორია; ასევე თუ PCR კვლევის<sup>5</sup> შედეგად დაუდასტურდებათ ახალი კორონავირუსი.<sup>6</sup> არსებითაა, რომ მოქალაქეობის ნიშნით საკითხის განსხვავებული გადაწყვეტა იყოს ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი საშუალება.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის დისკრიმინაციის ვარაუდი წარმოიშვა ასევე საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის უფლების მქონე სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით. უფრო კონკრეტულად, იმ ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც არ არიან ევროკავშირის შესაბამისი ხუთი ქვეყნის ჩამონათვალში. მათთვის მოქმედებს 12 დღიანი სავალდებულო კარანტინი.<sup>7</sup>

წინამდებარე დოკუმენტით, საქართველოს კანონმდებლობის, ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სახალხო დამცველი წარმოადგენს მის შეფასებას სარჩელში დასმულ საკითხთან დაკავშირებით. საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა, საჯარო პლატფორმებზე ხელმისაწვდომი დოკუმენტების გარდა, შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა (შემდგომში „დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი“) და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან.

## **1. ფაქტობრივი გარემოებები**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს მოქალაქე თორნიკე კუბლაშვილმა, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რამდენიმე წელია ცხოვრობს. ამ ქვეყანაში იგი სარგებლობს სამუშაო ვიზით.

პანდემის დროს მას საქართველოში ჩამოსვლა სურდა. საქართველოს მოქალაქე თორნიკე კუბლაშვილმა საქართველოში გამომგზავრების მიზნით შეიძინა ბილეთი 2020 წლის პირველ ივლისს და მისი გამომგზავრების თარიღად განისაზღვრა 9 ივლისი, ხოლო გერმანიაში დაბრუნების თარიღად - 26 ივლისი. ბილეთის შესყიდვის შემდგომ საქართველოს მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომ ხსენებული ხუთი ქვეყნის მოქალაქეებს და ამ ქვეყნებში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებს საქართველოს ტერიტორიაზე უპირობოდ შეუძლიათ შემოსვლა; ხოლო საქართველოს მოქალაქეებზე კვლავ ვრცელდებოდა სავალდებულო კარანტინი. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ამგვარი პრაქტიკა დისკრიმინაციულია.

## **2. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება**

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად: „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია

<sup>5</sup> კვლევა ჩატარდება, თუ თერმული სკრინინგის შედეგად პირს დაუფიქსირდა 37 გრადუსზე მეტი ტემპერატურა

<sup>6</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“, დანართი #2, შენიშვნა 5

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი (2020 წლის 23 მაისი)

*ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.*“

საკითხის მაღალი მგრძობელობის გათვალისწინებით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველი სასამართლოსთვის წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

### **3. სამართლებრივი შეფასება**

#### **3.1. ზოგადი დებულებები**

თანასწორობის უფლების რეალიზება არსებითია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის. თანასწორობის ძირითადი უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის ნორმა-პრინციპის რეალიზება არის სახელმწიფოს, როგორც საფუძველი, ასევე მიზანი; „თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის“.<sup>9</sup> საქართველოს კონსტიტუციური ვალდებულებების მიღმა თანასწორობის უზრუნველყოფა ასევე საერთაშორისო ვალდებულებებს შორისაა.<sup>10</sup>

საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვის თვალსაზრისით (როგორც უფლების შინაარსის დეტალიზების მასშტაბით, ასევე უფლების დაცვის საშუალებებით), არსებითია საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. აღნიშნული

<sup>8</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი (1995)

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1

<sup>10</sup> ზოგადი თვალსაზრისით, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 26-ე მუხლი (1966). საქართველოს ასევე რატიფიცირებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კონკრეტული ჯგუფების მიმართ ან/და განსაკუთრებულ სფეროებში თანასწორობის მიღწევის აუცილებლობაზე.

კანონის საფუძველზე საქართველოში აკრძალულია ყველა კატეგორიის დისკრიმინაცია. კანონის მიხედვით, „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ... არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.“<sup>11</sup>

მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა შეფასდეს, იწვევს თუ არა არსებული ნორმატიული ჩარჩო თანასწორობის უფლების შეზღუდვას, ახდენს თუ არა იგი არსებითად თანასწორი პირების დიფერენცირებას.

**3.2. საქმის შეფასება თანასწორობის უფლებასთან და თავისუფლების უფლებასთან მიმართებით** სასამართლოს წინაშე განიხილება შემთხვევა, როდესაც საქართველოს მოქალაქეები, თავიანთ ქვეყანასთან შესაბამისი სამართლებრივი კავშირიდან გამომდინარე, მსოფლიოსა და საქართველოში დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, ბრუნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე და მათ სურთ სარგებლობდნენ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებებით.

პანდემიიდან გამომდინარე მთავრობის მიერ მიღებული რეგულაციის ფარგლებში საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ ორმაგი მოქალაქეობა ან არ აქვთ შესაბამის ხუთ ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის ნებართვა, ვალდებულები არიან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას გაიარონ სავალდებულო 12 დღიანი კარანტინი. აღნიშნული წესი მოქმედებს მოსარჩელეზეც.

მოცემული რეგულაციით ცხადია, რომ მოსარჩელისთვის და საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისთვის იზღუდება თავისუფლების უფლება. შემდგომში უნდა დაგინდეს რამდენად დისკრიმინაციულია აღნიშნული უფლების შეზღუდვა.

ზოგადი თვალსაზრისით, საქართველოში მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე თავისუფლების ძირითადი უფლების კონსტიტუციური ფარგლების თანაზომიერად შეზღუდვის საკითხი დგება ასევე იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც არ არის ევროკავშირის ხსენებული ხუთი ქვეყნის ჩამონათვალში. შესაბამისად, მათ მიმართ დაწესებული რეჟიმი კი განსხვავებულია ევროკავშირის შესაბამისი ხუთი ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით.

---

<sup>11</sup> საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი (2014)

### 3.3. შესადარებელ პირთა დიფერენცირება

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის სავარაუდო საქმის შემთხვევაში, როდესაც საკითხი დაკავშირებულია არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობასთან პირველ რიგში დგინდება განსხვავებული მოპყრობის ფაქტი.<sup>12</sup>

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შედეგად გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმები აქვთ დადგენილი. უფრო კონკრეტულად, თავისუფლების უფლება რიგ ჯგუფთან მიმართებით უპირობოდ არის შეზღუდული, ზოგიერთ შემთხვევაში კი შეზღუდვა არ არსებობს. საქართველოს მოქალაქეებს უპირობოდ ეზღუდებათ საქართველოში თავისუფლების უფლება - მათზე ვრცელდება 12 დღიანი სავალდებულო კარანტინი. საქართველოს ამ მოქალაქეებისგან განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება პირთა სამ ჯგუფზე - მათ არ აქვთ ვალდებულება, რომ გაიარონ კარანტინი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 14 დღის განმავლობაში უფიქსირდებათ ევროკავშირის ამ ხუთი ქვეყნის ტერიტორიაზე მოგზაურობის ისტორია; ან წინაპირობების შედეგად ჩაუტარდათ PCR ტესტი, რამაც დადებითი პასუხის აჩვენა). ესენია ევროკავშირის ხსენებული ხუთი ქვეყნის მოქალაქეები; პირები, რომლებსაც ამ ქვეყნებში მუდმივი ბინადრობის ნებართვა აქვთ (მათ შორის საქართველოს მოქალაქეები); ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის შესაბამისი ხუთი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის 12 დღიანი სავალდებულო კარანტინია დაწესებული.<sup>13</sup>

ამგვარად, მოცემულ საქმეში საქართველოს სახალხო დამცველი გამოიყოფს შემდეგ შესადარებელ ჯგუფებს, რომელთა მიმართ სახეზეა განსხვავებული მოპყრობა:

- პირები, რომელთაც თავისუფლების უფლება უპირობოდ ეზღუდებათ<sup>14</sup> (საქართველოს მოქალაქეები; ევროკავშირის შესაბამისი ხუთი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეები);
- პირები, რომლებსაც თავისუფლების უფლება უპირობოდ არ ეზღუდებათ (ევროკავშირის ხსენებული ხუთი ქვეყნის მოქალაქეები; პირები, რომლებსაც ამ ქვეყნებში აქვთ მუდმივი ბინადრობის ნებართვა (მათ შორის საქართველოს მოქალაქეები); ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები).

შესადარებელი ჯგუფების იდენტიფიცირების შემდეგ, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, თუ რამდენად არიან აღნიშნული სუბიექტები არსებითად თანასწორები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი არსებითად თანასწორად

<sup>12</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის N1/1404 გადაწყვეტილება საქმეზე „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-44

<sup>13</sup> საქართველოს მთავრობის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი (2020 წლის 23 მაისი)

<sup>14</sup> არსებობს შემთხვევები, როდესაც კარანტინი შესაძლებელია ჩანაცვლდეს თვითიზოლაციით. იხ. საქართველოს მთავრობის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლის მე-7<sup>1</sup> პუნქტი (2020 წლის 23 მაისი)

მიიჩნევს შემდეგ ჯგუფებს და შესაბამისად, გამოიკვლევს, თუ რამდენად თანაბარია საქართველოს მთავრობის რეგულაციები:

- (1) საქართველოს მოქალაქეების (რომლებზეც სავალდებულო კარანტინი ვრცელდება) არსებითად თანასწორი ჯგუფია ევროკავშირის შესაბამისი ხუთი ქვეყნის მოქალაქეები; ასევე პირები, რომელთაც შესაბამის ტერიტორიაზე აქვთ მუდმივი ბინადრობის ნებართვა (მათ შორის საქართველოს მოქალაქეები); ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები (მათთვის სავალდებულო კარანტინის მოთხოვნა არ არსებობს). ამ ორივე ჯგუფს აქვთ თანაბარი ინტერესი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ. ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს შორის არიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც, სავარაუდოდ, საქართველოში ვიზიტის იდენტური მიზეზები და მიზნები აქვთ (რომელიც სცდება ტურისტულ/საქმიან ვიზიტებს და უმრავლეს შემთხვევებში მოიცავს ოჯახისა და ნაცნობების მონახულებას).
- (2) ევროკავშირის შესაბამისი ხუთი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეები, რომლის შესადარებელი ჯგუფია ევროკავშირის შესაბამისი ხუთი ქვეყნის მოქალაქეები. აღნიშნული ჯგუფებიც არსებითად თანასწორები არიან, თუმცა პირველი ჯგუფის მიმართ მოქმედებს სავალდებულო კარანტინის წესები. ამ პირებს აქვთ თანაბარწონადი მიზეზი, რომ საქართველოში შემოვიდნენ. მათი დიფერენციაციის საფუძველი მხოლოდ მოქალაქეობა და შესაბამის ქვეყანასთან აფილირებაა (მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირების შემთხვევაში).

### **3.4. შეზღუდვის თანაზომიერება**

თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. მისი შეზღუდვა შესაძლებელია იყოს გამართლებული თუკი საჯარო ხელისუფლების ქმედება ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი საშუალებაა. ამგვარად, საკითხის შესასწავლად უნდა განისაზღვროს, რა არის ამ რეგულაციის (საქართველოა მოქალაქეებისთვის 12 დღიანი სავალდებულო კარანტინის შემოღება) ლეგიტიმური მიზანი, რამდენად გონივრული და აუცილებელია ეს ღონისძიება; რამდენად თანაზომიერია აღნიშნული ღონისძიება იმ ლეგიტიმური საჯარო მიზნისა, რაც სახელმწიფოს აქვს დასახული.<sup>15</sup> მსგავსი ანალიზი უნდა გაკეთდეს შესაბამისი ხუთი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებითაც.

#### **3.4.1. ლეგიტიმური საჯარო მიზანი**

##### **საქართველოს მთავრობის პოზიცია**

საქართველოს მთავრობამ ამ საკითხებზე საჯარო განცხადებებისას ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა ვირუსის სწორი, ეფექტური მართვა და ეკონომიკის სწრაფი აღდგენა.<sup>16</sup> საქართველოს მთავრობის ხედვით, „აღნიშნულ სფეროებში ერთი მეორის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა“.<sup>17</sup>

<sup>15</sup> აღსანიშნავია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პრინციპთა ერთობლიობა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში თავისუფლება შეზღუდული პირების მოპყრობის თაობაზე, პრინციპი 4 <<https://rm.coe.int/16809cfa4b>>

<sup>16</sup> განცხადება ხელმისაწვდომია: <[http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=541&info\\_id=76846](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=76846)>

<sup>17</sup> განცხადება ხელმისაწვდომია: <[http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=541&info\\_id=76846](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=76846)>

საქართველოს მთავრობამ უშუალოდ ამ საკითხის შესახებ სახალხო დამცველთან წერილობითი კომუნიკაციისას სავალდებულო კარანტინის განსაზღვრის ლეგიტიმურ მიზნად მიუთითა ხელისუფლების ვალდებულება, რომ „შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება – უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება და სიტუაციის მართვა“.<sup>18</sup>

ლეგიტიმური საჯარო მიზნის ანალიზისთვის ასევე არსებითია შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომელიც მიუთითებს, რომ ევროკავშირის ამ ხუთი ქვეყნის მიმართ დაწესებული შეზღუდვების ხასიათს ორი ფაქტორი განაპირობებს: ნაცვალებების პრინციპი და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა.<sup>19</sup> ამავე თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველომ 5 პარტნიორ ქვეყანას, ყველანაირი პირობების გარეშე „სარკისებურად“ დაუწესა ზუსტად იგივე პირობები, და მათი მოქალაქეებისთვის საქართველოს საზღვრები იქნება ღია.<sup>20</sup>

#### დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პოზიცია

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, არსებული წესების გადახედვა დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე. ამგვარად, მათ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების ლეგიტიმური მიზანია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვა. ასევე, როგორც ცენტრმა მიუთითა, კორონავირუსის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი გზა არის ე.წ. ოჯახური კლასტერები, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ეს რისკი მინიმალურია.

თავის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცხადია, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისების მართვა არაორდინარული ვითარებაა და, ამ მხრივ, საქართველოს მთავრობას აქვს მიხედულების ფართო ფარგლები. თუმცა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, სასამართლომ შეაფასოს, რამდენად მიიღწევა ამ შეზღუდვით დასახული ლეგიტიმური მიზანი და ხომ არ არსებობს საქართველოს მოქალაქეებისთვის (ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის) ნაკლებად მზლუდავი ღონისძიებები, რაც იმავე მიზანს განახორციელებდა.

#### *3.4.2. გამოსადეგობა და აუცილებლობა*

##### საქართველოს მთავრობის პოზიციასთან მიმართებით

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს რამდენად მიიღწევა საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება და სიტუაციის მართვა, ასევე რიგ შემთხვევაში ეკონომიკის „გახსნის“ მიზანი:

<sup>18</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი #GOV 9 20 00031304 (2020 წლის 31 ივლისი)

<sup>19</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“, დანართი #2, შენიშვნა 5; ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი #GOV 9 20 00031304 (2020 წლის 31 ივლისი)

<sup>20</sup> განცხადება ხელმისაწვდომია: <[http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=541&info\\_id=76708](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=76708)>

- საქართველოს მოქალაქეებისთვის სავალდებულო 12 დღიანი კარანტინის დაწესებით;
- ევროკავშირის შესაბამისი ქვეყნების მოქალაქეებისთვის კარანტინის არ განსაზღვრით;
- შესაბამის ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის მქონე პირებისთვის კარანტინის არ დაწესებით (მათ შორის საქართველოს მოქალაქეებისთვის);
- შესაბამისი ხუთი ქვეყნის და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის 12 დღიანი სავალდებულო კარანტინის არ დაწესებით.

საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული შეზღუდვა არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება. საზღვარგარეთის მოქალაქეებისთვის (შესაბამისი ხუთი ქვეყნის მოქალაქეების გარდა) დაწესებული შეზღუდვებიც გამოსადეგია ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირების თვალსაზრისით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით 14 დღიანი კარანტინი მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებაა.<sup>21</sup>

შესაბამისი ხუთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ასევე საქართველოს ორმაგი მოქალაქეებისა და ამ ქვეყნებში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებისთვის დაწესებული არამზღუდველობითი სამართლებრივი რეჟიმის ლეგიტიმური მიზანი შესაძლებელია იყოს ეკონომიკური ცხოვრების აღდგენა. შესაბამისი ხუთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესებული რეჟიმი ნამდვილად შეიძლება იყოს გამოსადეგი ქვეყნის ეკონომიკური ბენეფიტის თვალსაზრისით. თუმცა ეს საკითხი სათუაო საქართველოს ორმაგი მოქალაქეებისა და ამ ქვეყნებში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებისთვის, რომელთა საქართველოში ვიზიტის მიზეზი, როგორც წესი, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის რეალიზება არაა. მეტად სავარაუდოა, რომ მათ ჰქონდეს იგივე ინტერესები, რაც საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთაც სავალდებულო კარანტინი ეხებათ. შესაბამისად, ამ უკანასკნელ ჯგუფთან მიმართებით საქართველოს მთავრობამ შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა დაასაბუთოს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ამ არააუცილებელი ღონისძიების დაწესების საფუძვლად მითითებული აქვს ნაცვალგების პრინციპი. ნაცვალგების პრინციპი მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობისთვის. ამ პრინციპის მოქმედებას არსებითი და ხელშესახები ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. ფაქტია, რომ ამ პრინციპს არსებითი გავლენა აქვს სხვადასხვა ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობაზე. მაშინ როდესაც ამ პრინციპს იყენებს საქართველოს მთავრობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, იმავე უპირატესობებია დაწესებული ევროკავშირის ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობები შენარჩუნდეს, თუმცა, აუცილებელია შეფასდეს, რამდნად არის ნაცვალგების პრინციპი ის უფლებრივი მასშტაბი, რომელიც შესაძლებელია სახელმწიფოებმა

<sup>21</sup> Considerations for quarantine of individuals in the context of containment for coronavirus disease (COVID-19) ხელმისაწვდომია: <[https://www.who.int/publications/i/item/considerations-for-quarantine-of-individuals-in-the-context-of-containment-for-coronavirus-disease-\(covid-19\)](https://www.who.int/publications/i/item/considerations-for-quarantine-of-individuals-in-the-context-of-containment-for-coronavirus-disease-(covid-19))>



პანდემიის დროს გამოიყენონ. ამ პრინციპის მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელება ფასდება კონსტიტუციასა და მასში გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებებზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში კი პრობლემურია, რომ სახელმწიფო მის მიერ დასახელებული მიზნების მიღწევას (კერძოდ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება) მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის ცვლილებით ახორციელებს. არსებითია, რომ ნაცვალებების პრინციპმა არ დაადგინოს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებისთვის არის დაწესებული საქართველოს ტერიტორიაზე.

#### დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პოზიციასთან მიმართებით

აუცილებლობის კომპონენტი გულისხმობს იმის განსაზღვრავს, ხომ არ არსებობს უფლებაში ჩარევის ნაკლებად მზღლუდავი ღონისძიება. შესაბამისი ღონისძიებების აუცილებლობის შესაფასებლად, არსებითია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მოსაზრებების გათვალისწინება, რამდენადაც საკითხის გადაწყვეტა კომპლექსურ და ინტერდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს. ცენტრს ეთხოვა, რომ მისი კომპეტენციის ფარგლებში დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე.

დაავადებათა კონტროლის ცენტრმა საკითხზე, თუ რა განსხვავებაა საქართველოს მოქალაქეების და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეების მიმართ დაწესებულ რეგულაციებს შორის, ჯანმრთელობის დაცვის ეფექტურობის მხრივ, შემდეგი ინფორმაცია გასცა: საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნავს სახელმწიფო, მათ შორის იმათზეც, რომლებსაც არ დაუტოვებიათ ქვეყნის ფარგლები. დღეისთვის სამეცნიერო წრეებში აღიარებულია და ქვეყნის შიდა პრაქტიკაც ადასტურებს რომ უპირველესად ავადდება ოჯახის შიდა კონტაქტები და დაავადების ალბათობა მცირდება შემთხვევითი, მოკლევადიანი კვეთისას.<sup>22</sup>

ამგვარად, მათი შეფასებით, ე.წ. ოჯახური კლასტერები არის ეპიდემიის გავრცელების მთავარი წყარო. შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის სავალდებულო კარანტინის შესახებ რეგულაციის შემოღება იმდენად ამცირებს რისკებს, რომ იგი შესაძლებელია თავისუფლების ძირითად უფლებაში ჩარევის და საქართველოს მოქალაქეების მიმართ განსხვავებული მოპყრობის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენდეს.

მეორე მხრივ, „ოჯახური კლასტერის“ შექმნის რისკი არსებობს საქართველოს იმ მოქალაქეებთან მიმართებით, რომელთაც შესაბამის ხუთ ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის ნებართვა აქვთ; ასევე - ამ ქვეყნისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეების მიმართ. ამ თვალსაზრისით, იკვეთება, რომ საქართველოს არ აქვს თანმიმდევრული და ერთგვაროვანი მიდგომა მის მიერ დასახული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროცესში. ამგვარი გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ნამდვილად არის თუ არა სავალდებულო კარანტინის დაწესება აუცილებელი ღონისძიება და მიუთითებს არათანაბარ მიდგომაზე. აღნიშნულ მოსაზრებას ამძაფრებს ის გარემოება, რომ საქართველოში შემოსვლისას

<sup>22</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის #06/3146 წერილი (2020 წლის 23 ივლისი)

იზოლაციას/კარანტინს არ ექვემდებარებიან საქართველოს სამთავრობო და საპრეზიდენტო დელეგაციების წევრები, უცხო ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტიდან დაბრუნებისას.<sup>23</sup> მათ აქვთ ვალდებულება, რომ საქართველოში შემოსვლიდან 12 დღის განმავლობაში ყოველ 72 საათში ჩაიტარონ PCR კვლევა.<sup>24</sup>

ეროვნული ცენტრის პასუხის მიხედვით, არსებული წესი, შესაძლოა, გადაიხედოს ეპიდსიტუაციის ცვლილებასთან ერთად. იზოლაციის წესები მოიცავს რამდენიმე სახესხვაობას და განსაკუთრებულ სიტუაციებში განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.<sup>25</sup> „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ფარგლებში ფიზიკური პირის იზოლაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური წერილობით ან ზეპირად. გადაწყვეტილების ზეპირად მიღების შემთხვევაში, არაუმეტეს 5 დღისა გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ ხდება ამ გადაწყვეტილების წერილობითი სახით გაფორმება.<sup>26</sup> აქედან გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია გამონაკლისები დადგინდეს 12 დღიანი კარანტინიდან.<sup>27</sup>

ეროვნული ცენტრის პასუხით, რისკის შეფასების მიხედვით, საქართველოში ჩამოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქის კონტაქტების რაოდენობა და ხანგრძლივობა გაცილებით ნაკლებია საქართველოს მოქალაქეების კონტაქტების რაოდენობასა და ხანგრძლივობაზე. არსებული მტკიცებულებებით, ახალი კორონავირუსის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი გზა არის ე.წ. „ოჯახური კლასტერები“, შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ეს რისკი მინიმალურია.<sup>28</sup> ამ საკითხის პარალელურად, ჩნდება კითხვები, თუ რამდენად ხდება უცხო

<sup>23</sup> საქართველოს მთავრობის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლის მე-7<sup>1</sup> პუნქტი (2020 წლის 23 მაისი)

<sup>24</sup> ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმ ნორმატიულ ჩანაწერსაც, რომელიც მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირს პირველი PCR კვლევის შედეგად აღმოაჩნდა იმუნოგლობული „G“, იგი თავისუფლდება შემდგომი კვლევებისგან. მსგავსი შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც დროებით ბრუნდებიან საქართველოში არ არის გათვალისწინებული. იხ. საქართველოს მთავრობის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11<sup>2</sup> მუხლის მე-6 პუნქტი (2020 წლის 23 მაისი)

<sup>25</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის #06/3146 წერილი (2020 წლის 23 ივლისი)

<sup>26</sup> საქართველოს მთავრობის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლის მე-12 პუნქტი (2020 წლის 23 მაისი)

<sup>27</sup> თვითიზოლაციაში მოთავსება/გადაყვანა შესაძლებელია: ა) პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის (მაგ.: ქირურგიული ოპერაციების შემდეგ, ქიმიოთერაპიის, დიალიზის სეანსების საჭიროებისას და სხვა) გათვალისწინებით, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარდგენისას; ბ) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნის შემთხვევაში, აკრედიტებული პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი სახელმწიფო უწყების შუამდგომლობის გათვალისწინებით, თვითიზოლაციის წესების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაცია ან დიპლომატიური მისია; გ) სხვა განსაკუთრებული გარემოებების/სოციალური ფაქტორების (შშმ, არასრულწლოვნობა და მსგავსი) არსებობისას, რომელიც ამართლებს თვითიზოლაციაში პირის ყოფნის უპირატესობას. საქართველოს მთავრობის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლის მე-7<sup>1</sup> პუნქტი (2020 წლის 23 მაისი)

<sup>28</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის #06/3146 წერილი (2020 წლის 23 ივლისი)

ქვეყნის მოქალაქის საქართველოში ჩამოსვლის მიზნის კვლევა - ხომ არ შექმნის მისი ყოფნის მიზანი ე.წ. ოჯახური კლასტერის საფრთხეს. მსგავსი საფრთხეები არსებობს ასევე ამ ქვეყნებში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა მიმართ.

ევროკავშირის ხსენებული ხუთი ქვეყნის მოქალაქეთა და მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირების მხრიდან ვირუსის შემოტანის პრევენციის სხვა მექანიზმია დადგენილი (PCR ტესტის ფორმით). დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხედვით, PCR მეთოდი წარმოადგენს ოქროს სტანდარტს SARS CoV 2 ვირუსის დროული დეტექციისათვის და რეკომენდებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. გამოყენებული ტესტების მგრძობელობა და სპეციფიკურობა პრაქტიკულად 100%-ს უტოლდება.<sup>29</sup> თუმცა, როგორც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებებიდან ჩანს, კარანტინის ეფექტიანობას იგი ვერ ანაცვლებს.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ზემოაღნიშნული გარემოებები, რომელიც მიუთითებს, რომ განსაზღვრული წესები, ერთ მხრივ საქართველოს მოქალაქეების მიმართ და მეორე მხრივ, ევროკავშირის შესაბამისი ქვეყნების მოქალაქეების მიმართ არ არის მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება. ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება ვერ იქნება რადიკალურად განსხვავებული რეგულაციები.

რაც შეეხება შესაბამისი ხუთი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყნები მოქალაქეების მიმართ არსებულ რეგულაციებს, მათ მიმართ დაწესებული სავალდებულო 12 დღიანი კარანტინი მიზნის მიღწევის გამოსადეგი და აუცილებელი საშუალებაა. რამდენადაც იგი იმეორებს საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით დაწესებულ რეგულაციებს.

#### 4. დასკვნა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არსებითია, რომ სასამართლომ ყურადღება მიაქციოს შემდეგ გარემოებებს: (1) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, სავალდებულო კარანტინის დაწესების გზით მიიღწევა ამ ვალდებულების მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე გავრცელებით (თუმცა იგი არ ეხება შესაბამის ხუთ ქვეყანაში<sup>30</sup> მუდმივი ბინადრობის მქონე, ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე საქართველოს მოქალაქეებს); (2) ლეგიტიმური მიზანი, როგორცაა ეკონომიკის ამუშავება, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი ყველა ჯგუფის შემთხვევაში შესაძლოა ვერ მიიღწეს და არის თვითნებური (პრევენციული ღონისძიების შერჩევისას მხედველობაში არ მიიღება შესაბამისი ხუთი ქვეყნის მოქალაქეთა, ასევე ამ ქვეყნებში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირთა საქართველოში ჩამოსვლის მიზანი და ხანგრძლივობა); (3) ნაცვალგების პრინციპის მოქმედება პრობლემურია იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე (სადაც უპირველესი სამართლებრივი წყაროა საქართველოს კონსტიტუცია) შესაბამისი ხუთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებისთვის

<sup>29</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის #06/3146 წერილი (2020 წლის 23 ივლისი)

<sup>30</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; საფრანგეთის რესპუბლიკა; ლატვიის რესპუბლიკა; ლიეტუვის რესპუბლიკა; ესტონეთის რესპუბლიკა

გათვალისწინებულია უკეთესი სამართლებრივი რეჟიმი, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლით, 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით.

პატივისცემით,